



დამტკიცებულია
სსიპ პროფესიული კოლეჯის „ოპიზარი“
დირექტორის №27 30.06.2014 წლის
ბრძანებით

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი“

საგანმანათლებლო პროგრამა: დურგალი

მესამე საფეხური

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი კოსტანიშვილი

2014

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

- "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონს (2010);
 - ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეცილობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);
 - შესაბამის პროფესიულ სტანდარტს დურგლის პროფესიულ სტანდარტს;
 - განათლებისა და მეცნიერების მისისტრის 121/5.(10.12.2010)-ე ბრძანებას "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესახებ;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს დოკუმენტებს:
- "სწავლის პროცესის მარეგულირებელი წესი"

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

დურგალი

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

დურგალი 040952

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დურგალის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

60 კრედიტი (1500სთ); თეორიულ კურს ეთმობა 40% ,24 კრედიტი (600 სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 60%, 36 კრედიტი (900 სთ). 1 კრედიტი ასახავს 25 საათს.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა-41 კვირა, თეორიული სწავლების ხანგრძლივობაა -32 კვირა, საწარმოო პრაქტიკის-9 კვირა.(მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

საბაზო განათლება .

2.2. მინიმალური ასაკი

-

2.3. კვალიფიკაცია

-

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

-

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

ქართული ენის ცოდნა ზოგადი განათლების საბაზო დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად.

2.6. უცხოენოვან პროგრამებზე იმ უცხოური ენის ფლობის დონე, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- დასქმდეს შრომით ბაზარზე მინიჭებული დურგალის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად; პროფესიონალი დურგალი მზადაა შეასრულოს კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო სახელმწიფო, კერძო და უცხოურ ფირმაში, ასევე თვითდასაქმებით და ინდივიდუალური მეწარმეობით ხის დასამუშავებელ საწარმოში საავეჯო და სამშენებლო ნაკეთობების წარმოებით.
- განაგრძოს სწავლა უფრო მაღალი ,მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად თუ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო დონის მისაღებ მოთხოვნებს;
- განაგრძოს სწავლა პროფესიული კვალიფიკაციის გასაახლებლად და ასამაღლებლად სწავლის მეშვეობით.

4. პროფესიული პროგრამის მიზნები

დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის დურგალი, რომელსაც ექნება ამ სფეროს საფუძვლების ძირითადი ფაქტების, პრინციპების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. შეისწავლოს და შეასრულოს სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტების და მასალების გამოყენებით. შეძლოს სადურგლო ნაკეთობების ესკიზებისა დანახაზების შედგენას, გაეცნოს ავეჯის ისტორიას და დიზაინს, სატყეო საქონლის სახეებს და მათ ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს. გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა შესძლოს მუშაობა სახელმწიფო ხის დასამუშავებელ საწარმოში, რომელიც დაკავებულია საავეჯო და სამშენებლო

ნაკეთობების წარმოებით, ასევე ნებისმიერ კერძო საწარმოსა და უცხოურ ფირმებში. შესაძლებელია თვითდასაქმება და ინდივიდუალური მეწარმეობა. გაეცნოს და დაიცავს შრომის უსაფრთხოების წესებს.

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიკური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყესივრობების აღმოფხვრის
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

5. სასწავლო გეგმა

5.1. სწავლის შედეგები/მიღწევის კრიტერიუმები - პროგრამის სასწავლო კურსები/ მოდულები

სწავლის შედეგები (ს.შ.) და შესრულების კრიტერიუმები (კ.)	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/ მოდულები
ს.შ.1.კურსდამთავრებულმა იცის: საწარმოო პროცესის ყველა სახეობა. ტექნოლოგიური პროცესის სამუშაოები და იცავს შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ელექტროუსაფრთხოების წესებს.	
კ.1.1. სადურგლო ნაკეთობების დამზადებისათვის საჭირო ცოდნის დონე; უნარი საკომუნიკაციო წყაროებიდან მოიძიოს და გამოიყენოს შესაბამისი ინფორმაცია წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფისთვის.	სადურგლო სამუშაოების ტექნოლოგია
კ.1.2. ტექნიკური და ტექნოლოგიური მოთხოვნების ცოდნა ; სადურგლო ნაკეთობის	

<p>დამზადების სხვადასხვა ეტაპებზე ხარისხის კონტროლის უნარი, სხვადასხვა სახის წუნები და მათი აღმოფხვრის წესების ცოდნა; ტექნოლოგიური პროცესების მატერიალური დანახარჯების ნორმატივების გაანგარიშების ცოდნა. სადურგლო ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო ნედლეულისა და დამხმარე მასალების სპეციფიკაციის ცოდნა,</p>	
<p>კ.1.3. შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ელექტროუსაფრთხოების წესების ცოდნა. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარი;</p>	
<p>ს.შ.2 კურსდამთავრებულმა იცის: ნახაზებით სარგებლობა, მათი წაკითხვა, ცალკეული დეტალების და კვანძების გარჩევა. მარტივი ნახაზის შედგენა</p>	
<p>კ.2.1. სადურგლო ნაკეთობების ესკიზებისა და ნახაზების შედგენის ცოდნა, სივრცითი წარმოსახვის უნარი;</p>	<p>ნახაზების კითხვა</p>
<p>კ.2.2. ხაზვის ტრადიციული (ხელით ხაზვის) მეთოდების ცოდნა</p>	
<p>კ.2.3. ნახაზის შედგენის უნარი სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამებით</p>	
<p>ს.შ.3 კურსდამთავრებულმა იცის: მერქანმცოდნეობის ძირითადი საფუძვლები; მერქნის გამორჩევისა და კლასიფიკაციის უმთავრესი ნიშნები</p>	
<p>კ.3.1. სატყეო საქონლის სახეების და მათ ფიზიკურ- მექანიკურ თვისებების ცოდნა</p>	<p>მასალათმცოდნეობა</p>
<p>კ.3.2. ხის ჯიშები, მათი კლასიფიკაცია და დამუშავების თავისებურებების ცოდნა;</p>	
<p>კ.3.3. სადურგლო ნაკეთობებისათვის საჭირო ძირითადი (სხვადასხვა ჯიშის ხეები, ფილები) და დამხმარე (ლაქ-საღებავები, ავეჯის ფურნიტურა, ანტისეპტიკები, წებოები და სხვ.) მასალების ცოდნა ;</p>	
<p>ს.შ.4 კურსდამთავრებულმა იცის: საწარმოო პროცესის ყველა სახეობა. ტექნოლოგიური პროცესის სამუშაოები. აქვის ცოდნა ნაკეთობათა (კარ-ფანჯარა, ავეჯი, კიბე, პარკეტი და სხვა) დასამზადებლად . იცნობს სადურგლო ნაკეთობათა დასამზადებლად გამოსაყენებელ ჩარხებისა და ხელის ინსტრუმენტების მოწყობილობას. შეუძლია დეფექტის დანახვა ნაკეთობაზე და იცის აღმოფხვრის გზები.</p>	

<p>კ.4.1. სადურგლო ნაკეთობების დამზადებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამუშაო ადგილის ორგანიზაციის წესის ცოდნა; ხელსაწყო-იარაღების, სამარჯვებისა და დაზგა-დანადგარების გამოყენების უნარი;</p>	<p>სასწავლო პრაქტიკა საწარმოო პრაქტიკა</p>
<p>კ.4.2. შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოებისა დის ელექტროუსაფრთხოების წესების ცოდნა. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარი;</p>	
<p>კ.4.3. სადურგლო ნაკეთობის მოპირკეთების ტექნოლოგიური ოპერაციები გამოყენების უნარი;</p>	
<p>ს.შ.5 კურსდამთავრებულმა იცის: სასაუბრო ენა და საგნისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია</p>	
<p>კ.5.1. არსებული ინფორმაციის მოძიების უნარი ინგლისურ ენაზე;</p>	<p>ინგლისური ენა</p>
<p>კ.5.2. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენების უნარი ინგლისურ ენაზე;</p>	
<p>კ.5.3. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინგლისურ ენაზე</p>	
<p>ს.შ.6 კურსდამთავრებულმა იცის: საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება</p>	
<p>კ.6.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის დონე; (კომპიუტერული საოფისე პროგრამები)</p>	<p>ინფორმაციული ტექნოლოგიები</p>
<p>კ.6.2. ცნობილი ელექტრონული წყაროების მეშვეობით ინფორმაციის მოპოვების უნარი სამუშაოების ჩატარების დროს წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად;</p>	
<p>კ.6.3. 7.3. უნარი დაამუშაოს და მართებულად გამოიყენოს მოპოვებული ელექტრონული ინფორმაცია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას</p>	
<p>ს.შ.7: იცის ძირითადი ეკონომიკური ცნებები, მათი მნიშვნელობა და არსი.</p>	

<p>იცის ორგანიზაციულ/სამართლებრივი ფორმები საქართველოში, გადასახადების სახეები, რეკლამის სახეები და სხვ.</p>	<p>სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები</p>
<p>ს.შ.8: შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	
<p>შეუძლია მუშაობის შეფერხების მიზეზების დადგენა, ხელსაწყოებისა და მჭრელი იარაღების ტექნიკური პასპორტისა და საექსპლუატაციო ინსტრუქციების გამოყენება, ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ შეფერხების მიზეზების დადგენა და დასკვნის გამოტანა მათ აღმოსაფხვზვერელად.</p>	<p>სასწავლო პრაქტიკა საწარმოო პრაქტიკა</p>
<p>ს.შ.9: შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	
<p>აქვს უნარი და ნებისყოფა განაგრძოს პროფესიული ზრდა გამოცდილი ხელმძღვანელობის მეთვალყურეობით.</p>	<p>მასალათმცოდნეობა სადურგლო სამუშაოების ტექნოლოგია</p>
<p>ს.შ.10: განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	
<p>აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, კმაყოფილია საკუთარი ხელით დამზადებული პროდუქციით.</p>	<p>სასწავლო პრაქტიკა საწარმოო პრაქტიკა</p>

5.2. სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, სწავლების ფორმა(ტიპი), საათებისა და კრედიტების განაწილება

სასწავლო კურსები/მოდულები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
ზოგადი სასწავლო კურსები								
1. სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	2	31				2/1	16	50
2. ინფორმაციული ტექნოლოგიები	2	31				2/1	16	50
3. უცხო ენა (ინგლისური)	2	31				2/1	16	50
სპეციალური თეორიული სასწავლო კურსები								
4. სადურგლო საქმის ტექნოლოგია	10	186				3/1	60	250
5. მასლათმცოდნეობა	4	62				2/1	35	100
6. ნახაზების კითხვა	4	62				2/1	35	100
7.								
სპეციალური პრაქტიკული სასწავლო კურსები								
8. სასწავლო პრაქტიკა	23			558		12/5		575
9. საწარმოო პრაქტიკა	13				320	3/2		325
10. შეჯამებული კრედიტები/საათები	60	403		558	320	28/13	178	1500

5.3. სწავლების პროცესის ორგანიზება

პროგრამის განხორციელების დროს ყველა დისციპლინისათვის კვირეული დატვირთვა ნაწილდება თანაბრად. 32 კვირის განმავლობაში მიმდინარეობს სწავლება და ხდება შუალედური შეფასებების ჩატარება თითოეული კურსის საპროგრამო მასალიდან გამომდინარე, თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ ხდება 9 კვირის განმავლობაში საწარმოო პრაქტიკის გავლა. საწარმოო პრაქტიკის ყოველდღიური დატვირთვა შეადგენს 8 სთ-ს, სულ-320 სთ, პრაქტიკის შუალედური გამოცდა-3 სთ. დასკვნითი გამოცდით-2 სთ.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს.

სასწავლო კურსების/მოდულების კვირული განაწილება

№	სასწავლო კურსები/მოდულები	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	V კვირა	6-31 კვირა	შუალედური გამოცდების სთ-ები	ბოლო 1 კვირა - დაკვნი თი გამოც და	(8 კვირა) საწარმოო პროექტი	ბოლო 1 კვირა - დაკვნი თი გამოცდა. საწარმოო პროექტი	ჯამი 41
	ინფორმაციული ტექნოლოგიები	1	1	1	1	1	1.....1	2	1			34
	უცხო ენა (ინგლისური)	1	1	1	1	1	1.....1	2	1			34
	სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	1	1	1	1	1	1.....1	2	1			34
	სადურგლო საქმის ტექნოლოგია	6	6	6	6	6	6.....6	3	1			190
	მასალათმცოდნეობა	2	2	2	2	2	2.....2	2	1			65
	ნახაზების კითხვა	2	2	2	2	2	2.....2	2	1			65
	სასწავლო პრაქტიკა	18	18	18	18	18	18....18	12	5			575
	საწარმოო პრაქტიკა							3		320	2	325
	ჯამი	31	31	31	31	31	31....31	28	11	320	2	1322

5.4. განმარტებები (დამატებითი ინფორმაცია)

პროგრამის სწავლება განისაზღვრება 41 კვირა; თეორიული სწავლება და სასწავლო პრაქტიკა მიმდინარეობს 32 კვირის განმავლობაში , რასაც მოსდევს 9 კვირიანი საწარმოო პრაქტიკა.

40%- (24 კრედიტი -600 სთ) ეთმობა თეორიულ სწავლებას, 60%-(36 კრედიტი-900 სთ) სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას .

სასწავლო პრაქტიკა მიმდინარეობს თეორიულ სწავლებასთან ერთად, ხოლო საწარმოო პრაქტიკა გათვალისწინებულია თეორიული და სასწავლო პრაქტიკის კურსის დასრულების შემდეგ .

სასწავლო პრაქტიკის კვირეული დატვირთვა შეადგენს 18 სთ-ს, ხოლო თეორიულს კი 13 სთ-ს, სასწავლო პროცესის კვირეული დატვირთვა შეადგენს 31 სთ-ს, საწარმოო პრაქტიკის კვირეული დატვირთვაა 40 სთ.

6. სწავლებისა და სწავლის მიდგომები

პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად, სწავლებისა და სწავლის მიდგომების შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის თავისებურება, პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებები და დამსაქმებელთა მოთხოვნები. თითოეული საგნის სწავლების მეთოდოლოგია დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსში.

პროგრამა არის სტუდენტზე ორიენტირებული, ემსახურება შრომის ბაზრისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ლექცია
- სემინარი,
- დისკუსია
- როლური თამაშები
- სიმულაცია
- პრეზენტაცია
- დემონსტრირება
- პრაქტიკული სავარჯიშო
- ინსტრუქტაჟი
- კონსულტაცია
- დაკვირვება
- სიტუაციური ამოცანა

7. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელი მეცადინეობა;
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- შუალედური დაშემაჯამებელი შეფასებებისათვის მომზადება და ჩაბარება;
- სხვა დატვირთვა, რომელიც ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

დატვირთვის სახეს განაპირობებს სასწავლო კურსის/მოდულის სპეციფიკა.

8. შეფასების სისტემა

8.1. პროფესიული სტუდენტის მოსწრების შეფასება

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც აისახება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #121/ნ 2010წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი. “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ამ მუხლის 2 პუნქტის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (ა) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (ბ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (გ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (დ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (ე) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასები 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და რომ ეძლევა შესაძლებლობა, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;

ბ.ბ) (F) ჩაჭრა 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და მითითებულია 100 ქულაში შუალედური და საბოლოო შეფასების წილი.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ერთჯერადი შეფასება მხოლოდ საბოლოო გამოცდის საფუძველზე. შეფასება უნდა მოიცავდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) საბოლოო გამოცდის შეფასებას;

საბოლოო გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდიდან, სულ მცირე, 10 დღეში პროფესიულ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს.

8.2. შეფასების ინსტრუმენტები

პრაქტიკული უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

პრაქტიკული სავარჯიშო

სიმულაცია

სიტუაციური ამოცანა

პროექტი

დემონსტრირება

პრეზენტაცია

შემეცნებითი უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

ტესტი

ზეპირი გამოცდა

წერილი ნაშრომი

სიტუაციური ამოცანა

8.3. სიზუსტის ხარისხი

ტესტში მრავალი არჩევითი პასუხით, თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, მცდარი პასუხი 0 ქულით. ტესტში ღია პასუხით სწორე პასუხს ენიჭება 2 ქულა, არასწორ პასუხს-0 ქულა, არასრულ სწორ პასუხს-1 ქულა.

8.4. შეფასებისათვის განკუთვნილი დრო

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის გამოყოფილი დრო ნაჩვენებია სასწავლო გეგმასა და შესაბამისი სასწავლო კურსების

სილაბუსებში. ტესტირება საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაგრძელდება 1-2 სთ-ი, ხოლო პრაქტიკული კომპეტენციების შესფასებლად დრო განისაზღვრება კომპეტენციის კომპლექსურობის მიხედვით.

8.5. განმეორებითი შეფასება

თუკი შეფასების განმავლობაში ვერ მოხდა კომპეტენციის მტკიცებულების დემონსტრირება, უარყოფითად შეფასებულნი ნაწილი ხელახლა შეფასდება.

8.6. შეფასების ცხრილი

შეფასების ცხრილი		
სწავლის შედეგები (ს.შ.)	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების მეთოდები
ს.შ.1 კურსდამთავრებული იცავს შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ელექტროუსაფრთხოების წესებს. იცის საწარმოო პროცესის ყველა სახეობა. ტექნოლოგიური პროცესის სამუშაოები.	კ.1.1 შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ელექტროუსაფრთხოების წესების ცოდნა. კ.1.2. ტექნიკური და ტექნოლოგიური მოთხოვნების ცოდნა ; სადურგლო ნაკეთობის დამზადების სხვადასხვა ეტაპებზე ხარისხის კონტროლის უნარი, სხვადასხვა სახის წუნები და მათი აღმოფხვრის წესების ცოდნა; ტექნოლოგიური პროცესების მატერიალური დანახარჯების ნორმატივების გაანგარიშების	ტესტი, ზეპირი

	<p>ცოდნა. სადურგლო ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო ნედლეულისა და დამხმარე მასალების სპეციფიკაციის ცოდნა,</p> <p>კ.1.3. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარი;</p>	
<p>ს.შ.2 კურსდამთავრებულმა იცის: ნახაზებით სარგებლობა, მათი წაკითხვა, ცალკეული დეტალების და კვანძების გარჩევა. მარტივი ნახაზის შედგენა</p>	<p>კ.2.1. სადურგლო ნაკეთობების ესკიზებისა და ნახაზების შედგენის ცოდნა, სივრცითი წარმოსახვის უნარი;</p> <p>კ.2.2. ხაზვის ტრადიციული (ხელით ხაზვის) მეთოდების ცოდნა</p> <p>კ.2.3. ნახაზის შედგენის უნარი სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამებით</p>	<p>ტესტი, ზეპირი</p> <p>პრაქტიკული სამუშაო</p>
<p>ს.შ.3 კურსდამთავრებულმა იცის: მერქანმცოდნეობის ძირითადი საფუძვლები; მერქნის გამორჩევისა და კლასიფიკაციის უმთავრესი ნიშნები</p>	<p>კ.3.1. სატყეო საქონლის სახეების და მათ ფიზიკურ- მექანიკურ თვისებების ცოდნა</p> <p>კ.3.2. ხის ჯიშები, მათი კლასიფიკაცია და დამუშავების თავისებურებების ცოდნა;</p> <p>კ.3.3. იცის სადურგლო ნაკეთობებისათვის საჭირო ძირითადი (სხვადასხვა ჯიშის ხეები, ფილები) და დამხმარე (ლაქ-საღებავები, ავეჯის ფურნიტურა, ანტისეპტიკები, წებოები და სხვ.) მასალები ;</p>	<p>ტესტი, ზეპირი</p>
<p>ს.შ.4 შეუძლია ტექნოლოგიური პროცესის სამუშაოების შესრულება. ნაკეთობათა (კარ-ფანჯარა, ავეჯი, კიბე, პარკეტი და სხვა) დამზადება . შეუძლია გამოყენება სადურგლო ნაკეთობათა დასამზადებლად ჩარხებისა და ხელის ინსტრუმენტების. შეუძლია დეფექტის დანახვა</p>	<p>კ.4.1. სადურგლო ნაკეთობების დამზადებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები, იცავს სამუშაო ადგილის ორგანიზაციას;</p> <p>აქვს უნარი ხელსაწყო-იარაღების, სამარჯვებისა და დაზიანებულ-დანადგარების გამოყენების;</p> <p>კ.4.2. იცავს შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ელექტროუსაფრთხოების წესებს.</p>	<p>ტესტი, ზეპირი</p> <p>პრაქტიკული სავარჯიშო</p>

<p>ნაკეთობაზე და მათი აღმოფხვრა.</p>	<p>აქვს უნარი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის; კ.4.3. აქვს უნარი სადღურგლო ნაკეთობის მოპირკეთების ტექნოლოგიური ოპერაციების გამოყენების ;</p>	
<p>ს.შ.5 კურსდამთავრებულს შეუძლია კომუნიკაცია უცხოურ ენაზე საგნისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით</p>	<p>კ.5.1. არსებული ინფორმაციის მოძიების უნარი ინგლისურ ენაზე; კ.5.2. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენების უნარი ინგლისურ ენაზე; კ.5.3. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე</p>	<p>ტესტი, ზეპირი</p>
<p>ს.შ.6 კურსდამთავრებულმა იცის: საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება</p>	<p>კ.6.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის დონე; (კომპიუტერული საოფისე პროგრამები) კ.6.2. ცნობილი ელექტრონული წყაროების მეშვეობით ინფორმაციის მოპოვების უნარი სამუშაოების ჩატარების დროს წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად; 6.3. უნარი დაამუშაოს და მართებულად გამოიყენოს მოპოვებული ელექტრონული ინფორმაცია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას</p>	<p>ტესტი, ზეპირი</p>
<p>ს.შ.7: იცის ძირითადი ეკონომიკური ცნებები, მათი მნიშვნელობა და არსი.</p>	<p>იცის ორგანიზაციულ/სამართლებრივი ფორმები საქართველოში, გადასახადების სახეები, რეკლამის სახეები და სხვ.</p>	<p>ტესტი, ზეპირი</p>
<p>ს.შ.8: შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი</p>	<p>შეუძლია მუშაობის შეფერხების მიზეზების დადგენა, ხელსაწყოებისა და მჭრელი იარაღების ტექნიკური პასპორტისა და საექსპლუატაციო</p>	<p>დაკვირვება</p>

წყაროებით სარგებლობა,მათი შეფასება და ანალიზი.	ინსტრუქციების გამოყენება, ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ შეფერხების მიზეზების დადგენა და დასკვნის გამოტანა მათ აღმოსაფხვზვერელად.	
ს.შ.9: შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	აქვს უნარი და ნებისყოფა განაგრძოს პროფესიული ზრდა გამოცდილი ხელმძღვანელობის მეთვალყურეობით.	ტესტი,ზეპირი
ს.შ.10: განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, კმაყოფილია საკუთარი ხელით დამზადებული პროდუქციით.	დაკვირვება

თითოეული საგნის სწავლების შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსებში (დანართი-3)

9.პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

კურსდამთავრებულს ენიჭება დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი საფეხურის პროფესიული დიპლომი.

10.პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება

„საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიულ კოლეჯს „ოპიზარი“ აქვს უფლება გასცეს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

11.ადამიანური რესურსი (დანართი 4)

#	პედაგოგი	სასწავლო კურსი	კვალიფიკაცია	სამუშაო გამოცდილება პროფილით
1	ეკა ინასარიძე	სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	ეკონომიკისა მართვის სპეციალისტი	
2	ნაირა მელიქიშვილი	საინფორმაციო დასაკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ინჟინერ სისტემოტექნიკოსი	
3	ფიქრია აკოფაშვილი	უცხო ენა (ინგლისური)	ბაკალავრი ინგლისური ენის პედაგოგი	
4	გიორგი კოსტანიშვილი	სადურგლო საქმის ტექნოლოგია		ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია 2008

				წლიდან „ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი“
5	გიორგი კოსტანიშვილი	მასლათმცოდნეობა		ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია 2008 წლიდან „ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი“
6	გიორგი კოსტანიშვილი	ნახაზების კითხვა		ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია 2008 წლიდან „ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი“
7	ბიძინა გელაშვილი	სასწავლო პრაქტიკა		ინდმეწარმე-დურგალი
8	ბიძინა გელაშვილი	საწარმოო პრაქტიკა		ინდმეწარმე-დურგალი

12. მატერიალური რესურსი:

პროგრამის სასწავლო პრაქტიკის გავლა ხდება სასწავლებლის ბაზაზე სადურგლო სახელოსნოს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. (დანართი 5). პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, სადაც არსებობს პროგრამის შესაბამისი ლიტერატურა.

საწარმოო პრაქტიკის გავლა სხვადასხვა საწარმოში და ორგანიზაციებში სადაც გაფორმებულია მემორანდუმები. (არსებობს მემორანდუმები) (დანართი 6).

საგანმანათლებლო დაწესებულება: სსიპ პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი“